

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 20 მარტს განხილული საქმეების მოქლე მიმოხილვა

- **არსენიევი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №№10614/06 და 10620/06**

აპლიკანტი იგორ არსენიევი მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1959 წელს და ამჟამად 20-წლიან სასჯელს იხდის მეგლელობისათვის ჩიშინაუს ციხეში. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ 2003 წლის შემდეგ მას არააღამიანურ პირობებში ამყოფებდნენ ციხეში. კერძოდ, არ იყო პიგიენა, საკნები გადატვირთული იყო, არ ჰქონდათ საქმარისი და ხარისხიანი საკვები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს განმცხადებლის სახარგებლოდ დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 100 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- **კოჩი და დემირი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №26793/08**

აპლიკანტები თურქეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1972 და 1977 წლებში და ცხოვრობენ სტამბულში. საქმის განხილვისას ისინი მსახურობდნენ შეიარაღებულ დალებში სერეანტის წოდებით. სხვადასხვა დროს ისინი დააპატიმრეს დისციპლინარული დონისძიების გატარების მიზნით. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათზე დაკისრებული სანქციები განსაზღვრული იყო ზემდგომი სამხედრო პირთა გადაწყვეტილებით და არა დამოუკიდებელი და მიუკერძობელი სამხედრო ტრიბუნალის მიერ. განმცხადებელებს მიაჩინიათ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი იკანონო პატიმრობის გამო. რაც შეეხდა სამართლიან დაქმაყოფილებას, განმცხადებლების მიერ აღნიშნული მოთხოვნა არ იქნა წარმოდგენილი დადგენილ კადაში.

- **პეკასლანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №№4572/06 და 5684/06**

აპლიკანტები თურქეთის მოქალაქეები არიან და ცხოვრობენ მაღათიაში. საქმე ეხება აპლიკანტების განაცხადს იმის თაობაზე, რომ 2005 წლის 8 მარტს ისინი აღნიშნავდნენ ქალთა საერთაშორისო დღეს, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა დემონსტრაციის დასაშლელად გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, ხოლო ოთხი მათგანი სცემეს და დააპატიმრეს. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი არააღამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო და ასევე მე-11 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლები. სახელმწიფოს თითოეული განმცხადებლის სახარგებლოდ დაეკისრა 12.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2.500 ევროს გადახდა ერთობლივად ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.